ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ123. 123253211**

თარიღი:**17/11/2025**

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვის მიზნით ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 91-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი'' საქართველოს 78- ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 თავის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვის მიზნით.

2. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტსა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტზე წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არაუგვიანეს 2025 წლის 25 ნოემბრისა. მოსაზრებების წარდგენისას, პირი უფლებამოსილია არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

3. გამოიცეს შესაბამისი ცნობა.

4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია - ცნობა, ეს ბრძანება, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი გავრცელდეს სოციალური ქსელის Facebook.com მეშვეობით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გვერდზე-www.ninotsminda.gov.ge და განცხადების სტენდის საშუალებით.

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ვაან აროიან

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 383790 ნინოწმინდა,პუშკინის ქ. N43;
43 PUSHKINI STR. 383790 NINOTSMINDA, GEORGIA